ზოგადი ხედვა

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?

ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები შემდეგია:

- ქალაქი ურბანული თვალსაზრისით სწორად უნდა განვითარდეს. ურბანული განვითარება კი ნიშნავს გამართულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, მოწესრიგებულ გზებს, მოწესრიგებულ საპარკინგე სისტემას;

- მნიშვნელოვანი პრიორიტეტია გამწვანება, გარემოს დაცვა და გაუმჯობესებული საბინადრო პირობები. ამ მიზნით ჩვენ ვგეგმავთ მეტი რეკრეაციული სივრცის მოწყობას, რაც გულისხმობს ახალ პარკებს, სკვერებსა და მწვანე სივრცეებს. ქალაქის განვითარების ჩვენი პროგრამა ასევე ითვალისწინებს ავარიული კორპუსების ჩანაცვლება-რეაბილიტაციას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებას, შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფას და სხვას;

- ჩვენთვის პრიორიტეტულია ინფრასტრუქტურული და სხვა მუნიციპალური პროექტების განხორციელება მოქალაქეთა დასაქმებისათვის; აუცილებელია ბიზნესის და მეწარმეობის მხარდაჭერა ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად; ეკონომიკური აქტივობის ახალი ზონების და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

- ჩვენი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია ჯანმრთელობის დაცვა და თითოეული მოქალაქისათვის მაღალი ხარისხის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ასევე, გაუმჯობესებული სოციალური პროგრამები, განათლების ხელშეწყობა და ხელმისაწვდომობა, კულტურული და სპორტული ცხოვრების გაუმჯობესება;

- თბილისი უნდა იქცეს უსაფრთხო ქალაქად.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა (თუკი ასეთი გაქვთ).

- ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია ტურიზმის განვითარება, ვინაიდან აღნიშნული სექტორი სწრაფად მზარდია და ქალაქის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ მიმართულებას წარმოადგენს. შესაბამისად, ვგეგმავთ ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე თბილისის ინტენსიურ და სწორ რეკლამირებას, შესაბამისი კულტურული ღონისძიებების განხორციელებას და სხვა აქტივობების ორგანიზებას. აღნიშნული

მიმართულებით მუშაობა თბილისს აქცევს ტურისტულად მიმზიდველ ქალაქად, რაც ქალაქის ბიუჯეტისთვის და რა თქმა უნდა, თბილისის მოსახლეობისთვისაც დამატებით შემოსავლებს ნიშნავს;

- თბილისის განვითარების ჩვენი გრძელვადიანი ხედვა ითვალისწინებს თბილისის უნიკალური ტერიტორიების და ლანდშაფტის გონივრულ ათვისებას. ასევე, ურბანული განვითარების გეგმა იძლევა შესაძლებლობას, რომ ქალაქში შევქმნათ ახალი ეკონომიკური ზონები, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას და უზრუნველყოფს მოქალაქეების დასაქმებას;

- პირველ რიგში, გამოსაყოფია შემოვლითი რკინიგზის პროექტი, რომლის გადატანის შედეგად გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე შესაძლებელია ახალი ბიზნეს-ეკონომიკური სივრცეები შეიქმნას. ასევე აუცილებელია გამოვიყენოთ ის 700 ჰექტრამდე ტერიტორია, ის ყოფილი სამრეწველო ზონები, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, აუთვისებელია;

- ამასთანავე, ვგეგმავთ ბიუროკრატიის შემცირებას და მასზე გაწეული ხარჯის 100 მილიონით დაზოგვას, ზედმეტი რეგულაციების გაუქმებას, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, რაც გააუმჯობესებს ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკურ მდგომარეობას და უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს.

3. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?

- ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის არქონა;

- მერიის სისტემაში არსებული კორუფცია და ნეპოტიზმი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების არასწორი კოორდინაცია და გაუმართავი საკანონმდებლო სისტემა;

- მნიშვნელოვნად გაზრდილი ბიუროკრატია და მასზე გაწეული ხარჯები; ბიუჯეტის არაეფექტური ხარჯვა;

- ბიზნესისა და ინვესტიციების დაცულობის დაბალი მაჩვენებელი, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების მექანიზმის არქონა;

- უმუშევრობის მაღალი დონე, გაზრდილი სიღარიბე.

4. თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომლის გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

თბილისის ეკონომიკური და ურბანული განვითარებისათვის ხელსაყრელია მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ასევე ქალაქის უნიკალური მახასიათებლები, მათ შორის, თბილისის ლანდშაფტი და რელიეფი, რაც მისი ტურისტული პოტენციალია. ასევე მნიშვნელოვანია ქალაქის ეთნოგრაფია და კულტურული მემკვიდრეობა.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

მიგვაჩნია, რომ თბილისის ეფექტური და მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია სწორად დაგეგმილი საბიუჯეტო პოლიტიკა, ნაკლები ბიუროკრატია და მერიის მოქნილი ადმინისტრაცია. ჩვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები შემდეგია:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ეს ნიშნავს როგორც არსებული გზების მოწესრიგებასა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარებას, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესებას, ახალ ხიდებს, ესტაკადებს, გვირაბებს და ჭკვიან შუქნიშნებს;

- პარკირების სისტემის მოწესრიგება, რაც ქალაქში ახალ მრავალსართულიან პარკინგებს ნიშნავს. ასევე ავარიული კორპუსების გამაგრება, რეაბილიტაცია და რენოვაცია. თბილისში გარე განათების სისტემების მოწესრიგება, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება;

- გარემოს დაცვა და ეკოლოგია. გასათვალისწინებელია, რომ თბილისში, ჰაერის დაბინძურების კუთხით, საკმაოდ მძიმე სიტუაციაა, ხოლო ერთ კვადრატულ მეტრზე გამწვანების მხრივ, კვლევების მიხედვით, ქალაქი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. შესაბამისად, ახალი ცენტრალური პარკის, ახალი სკვერების, ახალი რეკრეაციული ზონების მოწყობა საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება;

- ბიზნესის, ეკონომიკის და ტურიზმის ხელშეწყობა. იმ პირობებში, როცა ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ხალხი უმუშევრობას ასახელებს, სწორედაც დასაქმებისთვის და ეკონომიკური აქტივობისთვის ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი იქნება;

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა და განვითარება, რაც ახალ პროექტებსა და პროგრამებს გულისხმობს. გვსურს ლიფტების, სახურავების, სადარბაზოების გასარემონტებლად და გასაკეთებლად მოსახლეობას მეტი შეღავათი შევთავაზოთ. ასევე უზრუნველვყოთ ეზოებისა და სპორტული მოედნების კეთილმოწყობა;

- მნიშვნელოვანია ჯანდაცვა და სოციალური სფერო. ვფიქრობთ, რომ მეტად სამართლიანი გავხადოთ ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების დაფინანსება. ასევე დავნერგოთ ახალი პროგრამები;

– საბიუჯეტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია განათლების დაფინანსება. არაერთი კარგი ინიციატივის განხორციელებას ვგეგმავთ ამ მიმართულებით, რომელიც შეეხება როგორც სკოლამდელ ასევე, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს. განათლებასთან ერთად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ახალგაზრდებთან აქტიური მუშაობა კულტურისა და სპორტის მიმართულებითაც.

ასევე პრიორიტეტული საკითხია ქალაქის უსაფრთხოება, სისუფთავე, ხმაურის შემცირება-რეგულირება, ცხოველთა მონიტორინგი და დაცვა.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად?

თბილისი უნდა ვაქციოთ უსაფრთხო და კომფორტულ ქალაქად. შესაბამისად, ვგეგმავთ აღნიშნული მიმართულებით მუშაობას. კომფორტული გარემო უკვე ნიშნავს ბიზნესის სტიმულირებას, რაც ახალ, ეკონომიკურად აქტიურ ზონებს, ინვესტორების წახალისებას და სპეციალური საინვესტიციო პროექტების შეთავაზებას გულისხმობს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შევიმუშაოთ ახალი საინვესტიციო პროექტები. ერთ-ერთი ასეთი პროექტია შემოვლითი რკინიგზის ადგილის განვითარებისა და დასაქმების ახალ ზონად გარდაქმნა. გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე ვგეგმავთ მაგისტრალური ზონის განვითარებას, დაინტერესებული პირებისათვის უფასო პროექტების შეთავაზებას მცირე ბიზნესის წამოსაწყებად და აღნიშნულ ზოლზე ქონების გადასახადის გაუქმებას სამი წლის ვადით.

ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა

7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეთათვის?

ჩვენი მოსახლეობისთვის უკეთესი საბინადრო პირობების შექმნა ყველა უბნის თანაბარ განვითარებას ნიშნავს. ადამიანებს კონკრეტული სერვისის მომსახურების მისაღებად თავიანთი უბნიდან შორს წასვლა არ უნდა უწევდეთ.

ყველა რაიონში შესაბამისი მიზიდულობის ცენტრი უნდა შეიქმნას, როგორც კომერციული, ასევე სპორტული, კულტურული თუ სხვა მიმართულებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უშუალოდ უბნებში, საცხოვრებელ კორპუსებში შევქმნათ შესაბამისი მოწესრიგებული გარემო, კომფორტული ეზოები, სკვერები, ბაღები. სწორედ ეს ნიშნავს მოწესრიგებულ კომუნალურ ინფრასტრუქტურას კორპუსებში.

– შემუშავდება ე.წ. „ხრუშოვკების“ ეტაპობრივი ჩანაცვლების მექანიზმი სამმხრივი პარტნიორობის საფუძველზე: ინვესტორი, ქალაქის მერია, ბინათმესაკუთრეები;

- ავარიული კორპუსების და სახლების რეაბილიტაციას ყოველწლიურად მოვახმართ 50 მილიონ ლარს. მოვაწესრიგებთ სადარბაზოებს, შევაკეთებთ ლიფტებს და სახურავებს. კეთილმოვაწყობთ სპორტულ მოედნებსა და ეზოებს;

- გავზრდით სამშენებლო კომპანიებისათვის მწვანე სივრცეების შექმნის ვალდებულებას;

- გავაუმჯობესებთ, როგორც ქუჩების ასევე ეზოების დასუფთავების სერვისს.

8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?

- საჭიროა ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა, ახალი მანქანების შემოყვანა, ასევე დამატებით, ადამიანების შრომითი რესურსების მობილიზება თბილისში მომსახურების სერვისის გაუმჯობესების მიზნით;

- აუცილებელია ნარჩენების სწორი მართვა და გადამუშვება, ამ მიმართულებით ინვესტიციების მოზიდვა;

- ვგეგმავთ თბილისში არსებული მდინარეების კალაპოტების დასუფთავებას. კონკრეტული ინიციატივები ამ მიმართულებითაც გვექნება.

- პარალელურად ვგეგმვათ კერძო ბიზნესის ჩართვას იმ სერვისების განვითარებაში, რომელსაც ჯერჯერობით მხოლოდ მერიის სამსახურები ეწევა.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისათვის?

- ვაპირებთ, მოძველებული მუნიციპალური ავტოპარკი ჩავანაცვლოთ თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა, კომფორტული ავტობუსებით. ასევე ვგეგმავთ მეტრო სადგურების მოდერნიზაციას და მოქმედი შემადგენლობის განახლებას. მეტროს სისტემაში ახალი ვაგონების შემოყვანას და დამატებას, რადგანაც ქალაქში მოძრაობის ინტენსივობა შემცირდეს და პიკის საათებში გადაადგილების პრობლემა არ შეიქმნას. ასევე მეტროსადგურების ამოსასვლელების და დამატებით უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებას, განვითარებასა და გახსნას;

- თბილისში აუცილებელია საბაგიროს, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაც. იგი არ უნდა იყოს მხოლოდ ტურისტული უბნების მონახულების ფუნქციის მატარებელი;

- საჭიროა შემოერთებულ სოფლებში ახალი სამარშუტო ხაზების დანიშვნა და არსებული ავტობუსების რაოდენობის და პერიოდულობის გაზრდაც. რა თქმა უნდა, ტრანსპორტი აუცილებლად სრულად უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირებისთვის;

- აშენდება ტრამვაის ხაზი ქალაქის ზოგიერთ რაიონში, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების სწრაფ და უსაფრთხო გადაადგილებას.

10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის?

პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვგეგმავთ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. მეორე - მიწისქვეშა და მიწისზედა თანამედროვე გადასასვლელების მშენებლობას. ასევე ქალაქში მოვაწესრიგებთ სხვა საგზაო ინფრასტუქტურას, რომელიც ადაპტირებული იქნება, როგორც მძღოლებისთვის, ასევე ფეხით მოსიარულეებისთვის. მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, პარალელურად ვაპირებთ შესაბამისი კამპანიების წარმოებას.

11. რა ღონისძიებებს გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის?

უპირველეს ყოვლისა, ეს ადამიანები მაქსიმალურად უნდა ჩავრთოთ მერიის მიერ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას და ღონისძიებების მოწესრიგებას უკავშირდება. სწორედ მათი აზრის გათვალისწინებით ვგეგმავთ შესაბამისი ტენდერების გამოცხადებას, რაც უკვე ნიშნავს ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ადაპტირებული საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნას.

კულტურა და განათლება

12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?

თბილისის ღონისძიებებიდან დასამახსოვრებელი, მასშტაბური სახის ღონისძიებები, რომელიც გვამახსოვრდება, არის მხოლოდ და მხოლოდ თბილისობა და ახალი წლის ღონისძიებები, რომელიც განსაკუთრებული და გამორჩეული ფორმატის არ არის და ტურისტებისთვისაც ნაკლებად მიმზიდველია. შესაბამისად, ვფიქრობთ, აღნიშნული ღონისძიებების გარდა დამატებით რამდენიმე სიახლის დანერგვას, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვის. ეს ჩვენს თანამოქალაქეებსაც საშუალებას მისცემს დამატებითი შემოსავალი ჰქონდეთ.

- განვავითარებთ ქალაქში ღამის ეკონომიკას, რომელიც იქნება ორიენტირებული როგორც ტურისტებზე, ასევე ადგილობრივი მოსახლეობაზე;

- აქტიურად ვითანამშრომლებთ ახალგაზრდა ხელოვანებთან, როგორც მათი შემოქმედების, ასევე ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციის მიზნით;

- ვგეგმავთ თეატრებს, მუზეუმებს, ასევე სხვა კულტურის ცენტრებსა და ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის დაწესებულებებს შორის კავშირის წახალისებასა და აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფას;

- გვსურს თბილისში ვუმასპინძლოთ საერთაშორისო ფესტივალებს კინოხელოვნების, მუსიკალური, მწერლობის, სახვითი ხელოვნების და სხვა დარგების პოპულარიზაციის მიზნით. ვგეგმავთ წავახალისოთ კერძო სექტორის ჩართვა აღნიშნული მიმართულებით.

13. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

- პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს სკოლამდელ აღზრდას, საბავშვო ბაღებს. დღეს რთული ვითარება გვაქვს, რადგანაც ათასობით ბავშვი, მათი სურვილის მიუხედავად, ადგილების არარსებობის გამო ბაღის გარეშე რჩება. ხოლო ისინიც, რომლებიც ბაღებში ხვდებიან, შესაბამის პირობებში არ არიან: რეკომენდაცია გაცემულია, რომ ბაღის თითო ჯგუფში უნდა იყოს არაუმეტეს 30 ბავშვისა. ჩვენ გვაქვს ვითარება, როცა ჯგუფებში 50-60 ბავშვია. ეს ნიშნავს სწავლების დაბალ ხარისხს, ვირუსების სეზონზე სხვადასხვა ეპიდემიის გავრცელების რისკს, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის ხარვეზებით წარმართვას. ეს ნიშნავს ბაღებში აღმზრდელებისა და მათი თანაშემწეების დაბალ ხელფასებს. ჩვენ ვაპირებთ, ბაღების ვაუჩერიზაციას, რაც მშობელს საშუალებას მისცემს ბავშვი წაიყვანოს როგორც კერძო, ასევე საჯარო ბაღში. აღნიშნული გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს, წაახალისებს ახალი ბაღების გახსნას და შესაბამისად უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;

- შემდეგ პრიორიტეტს სკოლების დახმარება წარმოადგენს, რაც გულისხმობს 50,000 ლარიან დანამატს ყველა სკოლისათვის. აღნიშნული თანხები სასკოლო და სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდება;

- მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ბანაკების დაფინანსებაც, ასევე პროფესიული განათლების ხელშეწყობა;

- უზრუნველვყოფთ ყველა სოციალურად დაუცველი სტუდენტის სრულ დაფინანსებას, წარჩინებულ სტუდენტებს თბილისის მერიაში შევთავაზებთ ანაზღაურებად სტაჟირებას და აქტიურად შევუწყობთ ხელს წარმატებული სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას.

უსაფრთხოება და კრიმინალი

14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა და კრიმინალის პრევენცია მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების საქმე არ არის. აუცილებელია მუნიციპალიტეტმაც აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში. პირველ რიგში, ეს ნიშნავს უსაფრთხო, მოწესრიგებულ ქუჩებს, განათებულ ქალაქს, ასევე დაცულ პარკებსა და სკვერებს. ამის გარდა, საჭიროა მუნიციპალური კამერების დამონტაჟებაც.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის იზრუნებთ ქალაქში?

სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს გამჭირვალე და სამართლიანი - თითოეულ ადამიანს მერიის ხელთ არსებული შესაბამისი რესურსით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა მიეცემა. დაფინანსება კონკრეტული მაღალჩინოსნის კეთილ ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. მნიშვნელოვანია არსებული პროგრამების განვითარება და ახალი პროგრამების დამატება.

- 200,000 ქულამდე სოციალურად დაუცველი თითოეული მოქალაქე ყოველთვიურად 50 ლარიან შემწეობას მიიღებს;
- დაფინანსდება ბავშვთა, მოზარდთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანდაცვის პროგრამები;
- წელიწადში 40,000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახის ახალშობილი 1,000 ლარით დასაჩუქრდება, ხოლო ასეთი ოჯახები ბავშვებისათვის მიიღებენ კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული წრეების ვაუჩერებს;
- სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფ 200,000 სარეიტინგო ქულამდე მქონე ყველა სტუდენტს სრულად დავუფინანსებთ სწავლის საფასურს;
- სამჯერ გაიზრდება უფასო სასადილოების დაფინანსება.

16. რა ღონისძიებებს განახორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად თქვენს ქალაქში?

ზოგიერთ მოქალაქეს 100 ლარიან დახმარებაზე უარს ეუბნებიან, ხოლო ზოგს კი მერიის სადაზღვევო ფონდიდან 160,000 ლარიან დახმარებას უწევენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცის ახლობელია. სწორედ ამიტომ, უზრუნველვყოფთ დაფინანსების გამჭირვალე და სამართლიანი სისტემის დანერგვას.

ძირითადი აქცენტი დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებზე გაკეთდება. იმ ფონზე, როდესაც საყოველთაო ჯანდაცვა საყოველთაო აღარ არის, ამ ოჯახებს მხარში მერია უნდა დაუდგეს. მნიშვნელოვანია მედიკამენტური მკურნალობა და პირველადი გამოკვლევების თანადაფინანსება.

ასევე ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დამატებით შემოვიყვანთ 100 ახალ სასწრაფო დახმარების მანქანას და ავაშენებთ 10 ახალ სადგურს.

17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

დღეს თბილისში მიუსაფარი მოსახლეებისათვის მუნიციპალური თავშესაფარი არასაკმარისია. ჩვენ ვიმუშავებთ შესაბამის ორგანიზაციებთან, რომ ის პროექტები, მაგალითად, რომელიც შვეიცარიის მთავრობის დახმარებით მსგავსი სახლების მშენებლობას ეხებოდა, განხორციელდეს.

მუნიციპალური სახლები, სადაც უსახლკარო მოქალაქეებს აბინავებდნენ, უნდა იყოს სრულყოფილი. შესაბამისად გვსურს, დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით მსგავსი პროექტების განხორციელება და ახლის გაშენება.

ასევე ვგეგმავთ შევისწავლოთ, გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოს მიუსაფარი მოსახლეობისათვის ქირის გადახდა უფრო იაფი უჯდება თუ უმჯობესია აშენდეს კონკრეტული საცხოვრებელი სახლი და ადამიანები, რომელთაც ამის საჭიროება უდგათ, იქ დაბინავდნენ.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

- მოეწყობა რეკრეაციული ზონები, ბაღები და სკვერები, მოხდება უკვე არსებულის მოწესრიგება და რეაბილიტაცია;
- ყურადღება მიექცევა ქალაქის დასუფთავებას და ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩატარდება შესაბამისი სამუშაოები. ასევე მოხდება წყლების დაბინძურების კონტროლი. აუცილებელია მდინარეების კალაპოტის დასუფთავებაც;
- გამკაცრდება რეგულაციები სატრანსპორტო საშუალებებზე, მოძველებული მუნიციპალური ავტოპარკი ჩანაცვლდება ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით. დაინერგება ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების სისტემა.

19. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

- ვაპირებთ ყოფილი იპოდრომის ტერიტორიის გამოსყიდვას თბილისის ცენტრალურ პარკის გასაშენებლად;
- ყოფილი ზოოპარკის და ორთაჭალის ე.წ. „სამთავრობო ქალაქის“ ტერიტორიაზე მოვაწყობთ ახალ პარკებს;

- თბილისის ყველა რაიონში ახალი მოწესრიგებული სკვერები და პარკები მოეწყობა. ასევე შენარჩუნდება და განვითარდება არსებული რეკრეაციული სივრცეები. უზრუნველვყოფთ არსებული მწვანე ნარგავების მოვლას და მათ პასპორტიზაციას, ხეების მოჭრაზე დავაწესებთ მკაცრ კონტროლს;

- რეკრეაციულ ზონაში აიკრძალება სპეც. ნებართვით დაშვებული მშენებლობები.

20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარება მოითხოვს შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნას, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მშობელი მოკლებულია შესაძლებლობას, ბავშვი რომელიმე სპორტულ წრეზე სახლთან ახლოს ატაროს. საჭიროა ახალი სტადიონები, ასევე უკვე არსებული სტადიონებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია. ეს ნიშნავს ქალაქისთვის მასობრივი სპორტული ღონისძიებების დაფინასებას. მნიშვნელოვანია ახალი ველობილიკებისა და ახალი საფეხმავლო ბილიკების მოწყობაც. შესაძლებელია ახალი ტურისტული მარშრუტების განვითარება.

[თბილისი](#)

1. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების უსაფრთხოებისა და კომფორტის გასაუმჯობესებლად?

მოწესრიგდება და აშენდება ახალი მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ასევე „ზებრა“ გადასასვლელები, გაკეთდება საფეხმავლო ბილიკები.

2. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგების და საცობების შემცირების მიზნით?

- პირველ რიგში, აუცილებელია თბილისის ერთიანი სატრანსპორტო გეგმის შემუშავება;

- ვაპირებთ ავაშენოთ 7 ახალი ესტაკადა, 3 ხიდი, 2 გვირაბი და ახალი ავტომაგისტრალი, რომელიც დედაქალაქს საცობებისგან განტვირთავს;

- არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტი უნდა მოწესრიგდეს და განვითარდეს;

- ვაპირებთ დავასრულოთ შემოვლითი რკინიგზის შეჩერებული პროექტი და გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე უნდა გაკეთდეს ახალი ავტომაგისტრალი;

- ასევე დავნერგავთ ტრამვაის, როგორც მეტროს ბუნებრივ გაგრძელებას და განვავითარებთ საბაგირო ტრანსპორტს, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაირსახეობას.

3. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ უპატრონო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად?

თბილისში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს. ვაპირებთ მათთან აქტიურ თანამშრომლობასა და მათ დაფინანსებას, ვინაიდან მათ ბევრად უკეთესად იციან ცხოველების მოვლისა და საჭიროებების შესახებ. ასევე, ცხოველების გალიებში მოთავსების ნაცვლად, განვახორციელებთ კამპანიებს, სადაც ნებისმიერ მსურველს სასურველი ცხოველის სახლში წაყვანა შეეძლება.

4. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების დარეგულირებისათვის?

ავარიული კორპუსების და სახლების რეაბილიტაციისთვის ყოველწლიურად 50 მილიონ ლარს გამოვყოფთ. მოხდება ავარიული შენობების გამაგრება და სადარბაზოების, ლიფტებისა და სახურავების შეკეთება. ასევე ვაპირებთ ინვესტორების შემოყვანას, რომ შესაძლებელი გახდეს ავარიული შენობებისა და ამორტიზირებული კორპუსების ეტაპობრივი ჩანაცვლება. რაც შეეხება ისტორიულ უბნებს, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებისა და ექსპერტების ჩართვის შედეგად, ბევრ ქუჩას, მოედანსა და ეზოს რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

5. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

თბილისის ისტორიული ნაწილის იერსახის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ვიზრუნებთ, რომ დედაქალაქის ისტორიულ უბნებში მრავალსართულიანი ნაგებობები აღარ აშენდეს. ვიმუშავებთ ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციისა და რეაბილიტაციის პროექტებზე. ისტორიულ უბნებში უნდა განვითარდეს ტურისტული ინფრასტრუქტურა. ამის გარდა, აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმი.

6. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე?

შემოვლითი რკინიგზა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ჰაერივით სჭირდება ჩვენს ქალაქს. პირველ რიგში, რკინიგზის გადატანის შედეგად შესაძლებელი გახდება ახალი, სწრაფი მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც ქალაქს საცობებისგან განტვირთავს. მეორე - გამოთავისუფლებულ, 10 კილომეტრიან ზოლზე ახალი რეკრეაციული და მწვანე სივრცეები მოეწყობა. მესამე - ახალი ეკონომიკური ზონები შეიქმნება, რომელიც თბილისელების დასაქმებას შეუწყობს ხელს.